



პროვინციული თაშისუფლების ბიურო - პროვინციული თაშისუფლების ბიურო  
პროვინციული თაშისუფლების ბიურო - პროვინციული თაშისუფლების ბიურო

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი №53 (1563) 11 ივნისი, 1997 წელი

## ზაიპითხაით, მხოლოდ ნუ აჯანყდებით...

საქართველოს პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საგამოძიებო კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

რედაქტორისაგან:  
როცა ქვემოთწარმოდგენილი მასალა წაიკითხებ, გამახსენდა დიდ ჩინოვნიკთა სატელევიზიო და საარჩევნო გამოსვლები, რომლებიც ჩემნიარ „ქვეყნის დამაქვეყნარ“ თბოზიციონერებს სამშობლოს სიყვარულისკენ მოგვიწოდებდნენ... წაიკითხეთ და ნახეთ, როგორ ყვარებიან თავიანთი ისედაც ბედკრული სამშობლო ამ ღმერთგამწყურალებს... ეს მოხსენება უკან მიღებულული ლამპარია, მაგრამ მაინც საჭიროა, ეინძლო სხვამ მაინც ისწავლოს ჭკუა და შიშის გამო მაინც არ გაატყავოს საკუთარი ქვეყანა კუდის რიკამდე...



პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საგამოძიებო კომისიამ მოისმინა რა ბატონების დეკლარაციის, მ.ზან კალიანის, დ.აკობიძის, ს.კერვალიშვილის და ო.ფაცაცის ახსნა-განმარტებები (ამარჯიანი კომისიის სხდომაზე არ გამოცხადდა) და ანალიზი გაუკეთა რა შეკრებულ მასალებს (რომლის საფუძველზეც შედგენილ იქნა ეს ინფორმაცია), მივიდა შემდეგ დასკვნამდე:  
I. ბატონი დავით ელიაშვილი იყო რა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის დეპარტამენტი „საქაზის“ თავმჯდომარე, დაუდევრად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, რის შედეგადაც სახელმწიფომ განიცადა განსაკუთრებით დიდი ოდენობის ზარალი.  
კერძოდ:  
1) გაერთიანება „არეს“ და „ბემ“-ს თურქმენეთში გადაზიდული პროდუქციის ღირებულება თეთნებურად და უკანონოდ აუნახლაურა, რითაც სახელმწიფოს მიაყენა 1192133 დოლარის ზარალი.  
2) მონაწილეობა მიიღო მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 6 სექტემბრის №638 უკანონო დადგენილების შემუშავებაში და ეიზა მისცა ამ დადგენილებას, რის საფუძველზეც სახელმწიფომ განიცადა 6840000 დოლარის ზარალი.  
სულ, ბატონ დ.ელიაშვილის უკანონო მოქმედების შედეგად სახელმწიფომ განიცადა 8 მილიონი დოლარის ზარალი.  
II. ბატონი მურთაზ ზანკალიანი იყო რა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის ვაჭრობისა და მატერიალური რესურსების მინისტრი  
1) გამოიჩინა არასახელმწიფოებრივი მიდგომა სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ თურქეთში გადაზიდული პროდუქციის კონტრაქტების კერძო ფორმებზე გადაფორმებაში,  
2

## ფირმა „ელიზის“ პრეზიდენტი სინიდან თავდაბრუნდა გაათავისუფლეს რჩეულიშვილი ამ ფაქტს ასე „მიხსალა“

ბუშინ თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ფირმა „ელიზის“ პრეზიდენტი თამაზ ელიზბარაშვილი თავდაბრუნდა გაათავისუფლეს ამის მიზეზი გახდა ის, რომ თამაზ ელიზბარაშვილი ეპილეფსიით არის ავად.  
„ეულოცავ პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებითი კომისიის თავმჯდომარეს, ნაძირალა გიორგი ბარამიძეს ბანდის ორგანიზატორის გათავისუფლებას“, - ბრძანა ამასთან დაკავშირებით ფირმა „ომეგას“ ადვოკატმა, შალვა რჩეულიშვილმა. მისი თქმით, ელიზბარაშვილის გათავისუფლება კანონისთვის გვერდის ავლით მოხდა. „სასამართლო პროცესი დიდუბის რაიონის სასამართლოში კი არა ნარამიძე ამ რაიონიდან არის პარლამენტის დეპუტატი, კრწანისის რაიონის სასამართლოში უნდა გამართულიყო“, - აღნიშნა რჩეულიშვილმა. გარდა ამისა, ელიზბარაშვილს ბრალი ედება იარაღის უკანონო ტარებაში. „ეს ბრალდება რომ მოეხსნათ, ელიზბარაშვილი სამუშაოდ გააფორმეს სამთავრობო დაცვაში. საინტერესოა, იღებენ თუ არა ამ სამსახურში ეპილეფსიით ავადმყოფებს, - აღნიშნა რჩეულიშვილმა, - მე ვიცი, რომ ამ საქმის დასახურადად ერთი მილიონი დოლარია ამოქმედებული, შესძლოა - მეტიც, არ ვიცი, ხედა თუ არა აქედან წილი გიორგი ბარამიძეს, მაგრამ თავისი საქმე მან გააკეთა“, - დასძინა შალვა რჩეულიშვილმა. (ბი ჯი აი)

## ყველა კარს ფული აღებს?..

ფირმა „ელიზის“ პრეზიდენტის, თამაზ ელიზბარაშვილის საქმე კრწანისის რაიონის სასამართლოდან დიდუბის რაიონის სასამართლოში გადმოიტანეს და 10 ივნისს სასამართლოს განჩინებით, რომელიც სოსო ხურციდემ გამოიტანა, თამაზ ელიზბარაშვილი თავდაბრუნდა გაათავისუფლეს. როგორც რჩეულიშვილი ამბობს, ეს მანიპულაცია 1 მილიონი დოლარი დაჯდა.  
ს(ო)ს(ო) ხურციდემ (მოსამართლე):  
- თქვენი პოზიცია „ელიზის“ საქმეში?  
- ჩემი პოზიცია თავისთავად დადგენილებაში აისახა. მე აქ ვიმსჯელებ არა იმაზე, ეს პიროვნება დამნაშავეა თუ არაა დამნაშავე, არამედ ამ კაცის პატივობა დღეისათვის აუცილებელია თუ არა. საქმეში არის სამედიცინო დასკვნა, სადაც პირდაპირ წერია, რომ ციხის პირობებში მისი მკურნალობა შეუძლებელია და მართლაც ცუდაა.  
- რა ტყუა ასეთი?  
- იგი დაბადებიდან იყო ეპილეფსიით დაავადებული. შემდგომშიც ასე გრძელდებოდა. საქმეში არის საქართველოში არსებული ყველა ძირითადი ექიმის დასკვნა, რომ ციხის პირობებში მისი მკურნალობა შეუძლებელია. ძიება კი გრძელდება.  
- ეპილეფსიით დაავადებულები ცოტანი ზიან ციხეში?  
- ამაზე არაა ლამპარაკი, არის დასკვნა, რომ არ შეიძლება ციხის პირობებში მისი გაჩერება.  
- მხოლოდ ამით იხელმძღვანელებთ?  
- ამით და პიროვნებით. ის პირველადია ნასამართლევი, ჰყავს შვილები, მაგრამ ძირითადად ექიმების დასკვნას დაეყრდენი. იგი 2 თვეზე მეტია ციხეშია.  
- რომელი კანონით იხ-

### გაზეთის მომავალში ნომერი გამოვა სხვადასხვა















